

ივანე როსტომაშვილის გამოცემა.

Nº 4.0

635

საბოსტნე ეპენარების

თესა-მოყვანა და მოზარდება-შენაზვა.

635
P-91-L


შედგენილი

შულივლული ეგაღის არჩილ დარეჯანაულის-მიერ.

305:

„სულით და გულით მოძლვნილი
მცირედიც შეიწირება“.

აკად.



ტფილისი

სტამბა ექვთიმე ივ. სელაძეს.

1895

სიმება

Дозволено цензурою, Тифлисъ 5 октября 1895 года.

შესაბამისი

ბოსტნეულის მოყვანა ძნელი არ არის, ოღონდ სწავლა
და ცოდნა საჭირო. ჩეენში ბევრმა არ იცის ბოსტნეულის რი-
გიანად მოყვანა და რაც მოჰყავთ, ისიც ძლიერა ჰყოფნით თვი-
თოვნენ. ჩეენში იციან, რომ ბოსტნეულს უთუოდ დასთესენ,
მაგრამ მოვლას-კი ლეთის ანაბრობაზედ აგდებენ და თუ ვინი-
ცობაა ჭირნახული გაუფუჭდათ, მაშინვე ამას იტყვიან: „ი და-
ლოცვილმა ღმერთმა არ მოგვცაო!“ აქ გასაკვირელი ის არის,
რომ ჩეენ ცველა მარცხს ღმერთს გაპრალებთ, მაგრამ, რა შეუ-
შია აქ ღმერთი, როდესაც თვითონ გვეზარება ხელ-ფეხის გან-
ძრება!؟ მაინც შენიშნული ექნება დამკვირვებელ თეალს, რომ
ჩეენი მემამულე მომეტებულს მნიშვნელობას და ძალას თავის
მეურნეობისას თვითონ თესლის დათესებას აძლევს და რაკი და-
სთესავს, ასე ჰეონია, რომ ყველაფერს მორჩა და ახლა თამა-
რიად შეუძლიან კარგი მოსავლის იმედი იქონიოს.

ასე უგულოდ უფრო ბოსტნეულს ეყიდება ჩეენი მემამუ-
ლე და ამიტომ, რაღა თქმა უნდა, კარგს მოსავალს ვერ მი-
იღებს ხოლმე. ეს, რასაკვირველია, იქიდამაც წარმოსდგება,
რომ ამ საქმისთვის საჭირო ცოდნა არა გვაქვს, მოვლა არ ვი-
ცით ბოსტნეულისა და ამიტომ გულიც ვერ დაგვიდვია საქმი-
სათვის.

რომ შეუცხო ეს ნაკლი ჩეენ მებალეებს, ვეცლები დაწვრი-
ლებით აეწერო აქ ჩემი თორმეტი წლის შრომით და გამოც-
დილებით შეძენილი ცოდნა ბოსტნეულის მოყვანის შესახებ.

საბოსტნე მცენარეები სამ-გვარია.

საბოსტნე მცენარეები სამ-გვარია: 1) ერთ-წლოვანი; 2) ორ-წლოვანი და 3) მრავალ-წლოვანი. ერთ-წლოვანი საბოსტნე მცენარეებს ეკუთხნოს ის მცენარეები, რომლებიც გვაძლევენ თესლსა და თესვის წელიწადისვე და თითონ მცენარეებ ძირიანად ამოეარდება ხოლმე იმავ წელს. ერთ-წლოვან ბოსტნეულს ეკუ-თოვნიან: კიტრი, საზამთრო, ნესვი, გოგრა, ლობიო, ცურცი, მუჯუღო, სიმინდი, რუსული ბადრიჯანი, ქართული ბადრიჯანი, თეის ბოლოვკი, ისპანახი, ბალის დანდური, სალათა, წიწმატი, წიწაკა, კამა, ქინძი, ქონდარი და რეპანი.

ორ-წლოვან მცენარეებად ითვლებინ ის მცენარეები, რომ-ლებსაც გადაერგამთ ხოლმე კვლებში მეორე გაზაფხულობით და რაკი ზაფხულში თესლს ავიდებთ, თითონ მცენარეებ ძირიანად ამოეარდება. ორ-წლოვან ბოსტნეულს ეკუთხნიან: კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო, ზამთრის ბოლოვკი, თალგამი, ხახეი, პრა-სა, ოხრახუში და ნიახური.

მრავალ-წლოვან ბოსტნეულს ეკუთხნიან ის მცენარეები, რომლებსაც რაკი ერთხელ დავთესავთ, შემდეგში თავის-თავად უკვდავად ამოდიან ხოლმე. ამ გვარ ბოსტნეულობას ეკუთხნიან: კარტოფილი, ტარხუნა, მეუნა, სატაცური, ბალის პიტნა, ნი-ორი, ხარდალი (хр'ხს) და ხაჭიჭორა (артишოკ).

ბოსტნეულის სამ-გვარობის კვალობაზედ ეს წიგნი ჩვენ გავყავით სამ ნაწილად: პირველში ეილაპარაკებთ ერთ-წლოვან საბოსტნე მცენარეებზე, მეორეში — ორ-წლოვან საბოსტნე მცე-ნარეებზე და მესამეში მრავალ-წლოვან საბოსტნე მცენარეებზე. დასასრულ, მეოთხე და მეხუთე ნაწილებში ჩვენ ვილაპარა-კებთ ბოსტნეულის საზამთროდ შენახეაზე და მწნილების ჩადე-ბაზედ.

საბოსტნე ადგილის მომზადება.

საბოსტნე ადგილი უნდა შემოდგომითეც მოიხის ქართული ანუ რუსული გუთნით; შემოდგომით იმიტომ არის კარგი მიწის მოხვნა, რომ ზამთარში მოხული მიწა თოვლისა, სიკი-ებისა და წვიმებისაგან კარგად ფხეიერდება; ამასთან, რაც მცენარე შობებისა მიწას ქვეშ დალპება და ნიადაგს სინოყიერე მიე-მატება. გაზაფხულზედ ბოსტანი ხელ-მეორედ უნდა აიჩქის პატარა გუთნით და ან ბარით დაიბაროს; შემდეგ გაითოხნოს, გასუფთავდეს და მერე კვლებიც გაკეთდეს. კვლებს, ადეილად მორწყვისათვის და გამარგელისათვის, აკეთებენ სიგანით $1\frac{1}{2}$ ადლსა¹⁾, გზებს-კი კვლებს შუა— $\frac{1}{2}$ ადლსა. კვლების მომხა-დების შემდეგ უნდა დაითესოს თესლი და მაშინვე თანაბრად გაიფოცხოს. თუ მიწა თანაბრად არ გაიფოცხა, თესლი ზოგი ღრმად მოჰყება მიწის ქვეშ, ზოგი მაღლა დარჩება და ამის გამო თესლი ერთ დროს არ ამოვა, ზოგი აღრე ამოვა, ზოგი გვიან და ზოგიც სულ არ ამოვა; ეს-კი კარგი არ არის, რად-განაც სხვა-და-სხვა დროს ამოსული თესლი მოითხოვს ორ-ნაირ ყურადღებას და წვალებას.

თბულების გაკეთება (парники).

თბულა არის განვებ ამოთხრილი თხრილები, შუშაბანდით დახურული, რომელშიაც მოჰყავთ აღრეულა ბოსტნეული.

თბულებს საზოგადოთ აკეთებენ მყუდრო და ქარისაგან მოფარებულ ადგილას ისე, რომ პარი სამხრეთისაკენ ჰქონდეს

¹⁾ ადლი—16 გრა; გრეს რუსულად ეწოდება ვერშოკი, ხოლო დლს—არშინი.

მიმართული და მშე პირ-და-პირ უყურებდეს მათ. თბულების სიღრმე დამოკიდებულია ადგილზედ, ჰავაზედ და იმაზედ, თუ რა მცენარები გსურთ მოიყვანოთ მათში. თუ თბულა გინდათ იან-ვარში დასათესი მცენარეებისათვის, მაშინ თხრილები უნდა მოთხაროთ სიღრმით $1\frac{1}{2}$ ადლზე; ხოლო თებერვალში დასათესი მცენარეებისათვის — 1 ადლზე და გაზაფხულზედ დასათესი მცენარეებისათვის — $\frac{1}{2}$ ადლზე. ამ თბულებს აქეთ თავისი სახელები, სახელდობრ: ადლ-ნახევარზედ ამოთხრილს ეწოდება ცხელი თბული, ადლზედ ამოთხრილს — თბილი თბული და ნახევარ ადლზე ამოთხრილს — ცივი თბული.

სიგანე სამიერ გვარი თბულებისა შეიძლება დაიჭიროთ $1\frac{1}{2}$ ადლი, ხოლო სიგრძე — ესაც რამდენი სურს. პირეულ ორ-გვარ თბულებს უკეთებენ ზემოდამ შუშაბანდს, ხოლო შესამეს არა.

თბულას აკეთებენ ამ გვარად: სთხრიან ჯერ თხრილებს და გარშემო უწყობენ სქელ ჩარჩოებსა, რომლებზედაც შემდეგ-ში უნდა გაიმართოს შუშაბანდი. ჩარჩოები ისე უნდა დაწყოთ, რომ მისი ქვეითი, ე. ი. სამხრეთის მხარე. სუთი ან ექვსი გრით დაბლა იყვეს ზემო, ე. ი. ჩრდილოეთის, მხარეზედ; ეს იმის-თვის, რომ შუშაბანდი სამხრეთისაკენ იყოს დაქანებული და მშე პირ-და-პირ შუშებს უყურებდეს, რაიცა დიდად საჭიროა ყველა მწეანეულისთვის.

თხრილების მომზადების შემდეგ, ამზადებენ ცხენის ფეხის. ფეინი ეწოდება ცხენის ნეხეს. ფეინი, არეული ცხენის ფეხ-ქვეშ ნაყრ თიცაში, შეაღენს უკეთესს მასალას თბულებისათვის, რადგან ფეხით გაკეთებული თბულა მალე ხურდება. დააგროვეთ ერთ ადგილას რამდენიმე ურემი ფეინი; ის მალე უშენებს სითბოსა. მაგრამ მოხდება ხოლმე, რომ ყინვების და სიცივების გამო, ფეინის გროვები მალე არ ხურდება; მაშინ ამის-თანა გროვებს ზემოდამ რამდენიმე ქვაბი მდეულარე წყალი უნდა დასხათ; ხოლო, თუ უფინის გროვა ნოტიოა, მაშინ შეგ

ფეინში უნდა ცეცხლში გახურებული ქვები ჩააწყოთ და ისინი გამოიტანენ სინესტეს.

ასე მომზადებული ფეინით ორი კაცი აესებს თხრილებს: ერთი კაცი ფეინს ეზიდება და 'თხრილში ჰყრის, ხოლო მეორე შიგ თხრილში დგას და ორთ-თითოთ ფეინს ასწორებს სიფრთხილით, რომ არ დალაპოს იგი, რადგანაც დაულაპევი ფეინი უფრო მაღვე და თანაბრად ჩახურდება. ამ ნაირად ჰყრიან და ასწორებენ ფეინს, სანამ თხრილი არ გაისცება. შემდეგ თხრილებს აფრიებენ ლასტებს ანუ შემა-ჩამულ ბანდებს და რამდენიმე დღეს უცდიან; მერე ხინან ლასტებს თუ შუშაბანდებს და თხრილში დგება კაცი, რომელიც ერთ-ორ რიგობაზე სტკეპნის ჩაყრილ ფეინსა. დატკანის მერე ფეინს უნდა საქონლის დამზებული ნეხეი დაუკაროთ. თუ დადგენი ნეხეი უნდა ჩაყრით თბულაში, ეს ჭრიუკიდებული იმაზედ, თუ რა მცენარეები გნებავთ მოიყვანოთ მასში: სატარა მცენარეებისათვის, სახელდობრ, თეის ბორივასადის, წიწმატისათვის და მისთანებისათვის, საკმაოა დააკროთ სასუქი $1\frac{1}{2}$ —2 გრეზე სისქით; ხოლო დიდონ ფესვებან მცენარეებისათვის-კი, მაგალითად, კიტრისათვის, ნესვისათვის, საზამთროსათვის და მისთანებისათვის უნდა დააკროთ სასუქი 4—5 გრეზე სისქით. შემდეგ სასუქის დაყრისა, თხრილებს აფარებენ შუშაბანდს და მესამე დღეს სთვესენ კიდეცა, ვისაც რა უნდა. დათესის უმალვე უნდა მორწყათ სარწყულით (ლეიკოი) და შემდეგშიაც მუდამ დიდი თვალ-ყურის დაჭრა უნდა: როცა კარგი დაზიანებული ჰმინდა ჰავრი უნდა შეუშეათ, რომელიც ძალიან საჭიროა დათესილი მცენარეები—სათვის; უმისისოდ თბულაში გაჩნდება შმირი და მცენარეები მოკლე ხნში სულ გაფუჭდება. ზამთრობით თბულა კუველდედე უნდა ნახოთ, რომ, ეინიცობაა, თუ მორწყა უნდა—მორწყათ. მორწყების დრო დანიშნული უნდა გქონდეთ დილით ათ საათზედ, ხოლო სალმოთი—სამ საათზედ, მაგრამ, რამდენ

ნიც დედა-მიწა მოთბება და სიცივე საშიში აღარ იქნება, შეგიძლიანთ მორწყათ: დილით შეიდ-რეა საათზედ და საღამოთი ხუთ ან ექვს საათზედ.

ზამთრობით ღამ-ღამე შუშაბანდებს ზემოდამ უნდა გადა-აფაროთ ჭილობი ანუ მოქსოვილი შალაფა, რომ სიცივემ არ დააძროს ნაზი მცენარეები. გარდა ამისა დათესილები იმდენად უნდა იყეს მოშორებული შუშებზედ, რომ გაზრდის ღროს ფოთლები არა ხედებოდეს შუშებს, რაღვანაც შუშებზედ მიკა-რებული ფოთლები დიდ სიცივეში ძრება და მზიან დღეში-კი კინება. ასე მომზადებულ თბულებში საქმის მცოდნე მემამუ-ლეს შეუძლიან მოიყვანოს აღრეულად ყველა ის მწვანილები, რომლებიც აწერილია ამ წიგნში, მაგრამ თბულების გამართვა ღირს ხოლო დიდი ქალაქების ახლოს, სადაც დიდი ფასი აქვს აღრეულა ბოსტნეულს, თუმცა ურიგო არ იქნება, რომ ყველა მემამულეს ჰქონდეს სახლთან ორიოდე თვლიანი თბულა, სა-დაც მოიყვანდეთ საზამთროდ უფრო საჭირო მწვანილსა. შეუ-დგეთ ახლა თითონ საბოსტნე მცენარეების თესეა-მოყვანის და მოხმარება-შენახეის აღწერას.

ნ ა წ ი ლ ი ვ ი ს ვ ა ლ ი.

ერთ-წლოვანი საბოსტნე მცენარეები.

კიტრი. Огурецъ. *Cucumis sativus.*

კიტრი 28 სხვა-და-სხვა ჯურისაა. ცხელ ადგილებში და ქვი-შიან ნიაღაგზე აღრეული კიტრი ითესება აპრილში, გეიანი— მკათათვეში¹⁾; ხოლო ცივ ადგილებში და თხიან ნიაღაგზე აღ-

¹⁾ მკათათვეში დათესილს კიტრს შემოდგომაზედ სამწნილედ ხმა-რობენ.

რეულა კიტრი უნდა დათესოს მაისის ოციდგან და გვიანი—
თბიათეის ხუთმეტიდგან.

კიტრს უყვარს ცოტა ქვიშა-ნარევი და სასუქიანი მიწა¹⁾; რამდენათაც უფრო სასუქიან და ნორტიო ადგილის იქნება კრტ-
რი დათესილი, იმდენად უფრო კარგად და ღიღხანს დაისხამს. კიტრის თესლს სთესავენ ორ-ნაირად: გაღიგებულს და გაუღიე-
ბელს. გაღიგებული კიტრის თესლი ამოდის სამ ღდეზედ; ამისთა-
ნა თესლს ამზადებენ ასე: შეხეიეთ თესლი ტილოში, ღლეში
ოთხჯერ ან ხუთჯერ ნელ-თბილ წყალში (16—18°) ამოავ-
ლეთ და თბილ ადგილას შეინახეთ. ამ გვარად მომზადებული
კიტრის თესლი ღივლება ორ ღლეში და მესამე ღლეს შეგიძ-
ლიანთ დასთესოთ კიდეც კარგად მომზადებულ სასუქიან მიწა-
ში. ხოლო, როცა გადახნევით გნებაჲ კიტრის დათესვა, თეს-
ლი არ უნდა გაალიოთ, რადგან თოხნის ანუ გაფოტხვის ღროს
გაღიგებულს თესლს ღივები დაემტვრება და თესლი გაფუჭ-
დება.

კიტრი რაც შეიძლება თხლად უნდა დათესოთ ანუ დარ-
გათ, რადგან სქლად დათესილი კიტრი მაღლე ფუჭდება, ცო-
ტას ისხამს და უკემურიც დგება. სანამ კიტრი ამოეიდოდეს,
უნდა ერთხელ მოირწყას, ხოლო ამოსელის შემდეგ—ორჯელ
ანუ სამჯერ კეირაში, დილით აღრე ანუ საღამოთი, რადგან
მზის შექმნედ მორწყელი ბლატნებული მაღლე ჭებება და ფუჭდება.

როცა კიტრი 4 გრეზე გაიზრდება სიმაღლით, მაშინ უნ-
და გაითოხნოს და გარს მიწა შამოეყაროს; რამდენათაც მიწა
ხშირად შამოეყრება და აეზილება კიტრსა, იმდენად კიტრი უფ-
რო თამამად გაიზრდება და კარგადაც დაისხამს.

სათესლედ ინახევნ აპრილში დათესილ კიტრს; აარჩევენ

¹⁾ ცხენის ახალი ფეინი საჭონლის ახალს ნეხვში არეული კიტრს ძა-
ლიან უხდება.

შსხეილს, გრძელს და კარგად შემოსულ (დამწიფებულ) კიტ-რებს, დაგროვებენ ერთ ადგილას და ინახაენ ასე სამ დღემ-დის; შემდეგ დასჭრიან შუაზედ და გამოაცლიან თესლს, რო-მელსაც ჰყრიან წყლით სახსე ქილაში და ინახაენ ასე 7—8 დღემდის, რომ თესლს ადგილად მოშორდეს ფერფლი; შეცხრე დღეზე თესლს კარგად ჩეცხავენ წმინდა წყალში, რამდენიმე დღეს აშჩობენ ნიაზედ და შემდეგ ინახაენ მშრალ ადგილას. ამ გვარად მომზადებული თესლი ინახება ათ წლამდის, მაგრამ დასათესად ხუთ-ექს წლისაზედ ძევლი თესლი საეჭვოა.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ კიტრს ეხეევა ერთგვარი ჭია, რომელსაც ეწოდება ბუგრი. კიტრს ბუგრი უფრო მაშინ უჩნდება, როცა პავრი მოულოდნელად იყვლება ხოლმე, მაგა-ლითად, როცა სიცივის დროს უცემ დაცება და სიცხის დროს უცემ აცივდება. თუმცა ბუგრის წინააღმდეგი წამალი წყალში მოხარშული წეკოს (თამბაქოა ერგვარი) წევნია ¹), მე მაინც უჩჩევ ჩვენ მემამულებს: რა წამსაც რომელიმე ძირს ბუგრი შეამჩნიოთ, ის მაშინევ ძირიანად ამოილეთ, დაასხით ნაეთმ და დასწეით, რომ სენი სხეა ძირებს აღარ გადაედოს, თორემ ბუ-გრი მთელს ბოსტანს მოედება და დიდს ზარალს მისცემს პა-ტრონს.

საზამთრო. არყვა. Cucumis-Citrulus.

საზამთრო 8 სსეგა-და-სსეგა ჯურისაა. დასათესად საზამთ-როს თესლსაც ისე ამზადებენ, როგორც კიტრის თესლს და შემდეგ სთესერ კარგად აფხვიერებულ და სასუქიან მიწაში, პატარა ორმოებში. ეს ორმოები უნდა შორავდნენ ერთმა-

¹) მოხარშული წეკოს წევნი ჯერ უნდა გააციოთ და შემდეგ ასხუ-როთ (ცოცხლით ანუ სხვა რითმები) კიტრის ავადმყოფ ლეროებს და ფოთ-ლებს; წეკო რუსულად არის მახორკა.

ნერთს ორი ადლით და თითოში უნდა ჩადოთ სამ-სამი ანუ ოთხ-ოთხი თესლი; ხოლო, როცა ამოვა, თითო ორმოში უნდა დაანარჩუნოთ ორ-ორი ძირი, დაანარჩენი-კი ამოგლიჯოთ და გადაყაროთ, ანუ სხვა ადგილას გადარგათ. საზამთრო რამდენათაც თხლად დაითესება, იმდენად ბევრს, მსხვილს და გემ-რიელს საზამთროებს მოისხამს. საზამთროს ორჯელი ან სამჯერ უნდა მორწყეა; მოქერებული მორწყეისაგან-კი გემო ეკარგება. გათოხნა და გარეშეპო მიწის აჩეილება და შემოყრაც ორჯელ-საჰჯერ უნდა, განსაკუთრებით თუ ბოსტანს უბრალო ბალახი მოერია.

ეისაც უნდა საზამთრო მინდერად მოიყეანოს, იმან თესლი არ უნდა გააღიოს, რადგან დაფარუხვის დროს თესლს ღიყი და-სცვივა და გაფუჭდება. სათესლედ არჩევენ მსხვილს და კარგად შემოსულ საზამთროებს; თესლს კარგად რეცვენ წმინდა წყალ-ში, შემდეგ აშროებნ ჰაერზედ და ინახენ მშრალ ადგილას. ასე მომზადებული თესლი ინახება ათ წლამდის, მაგრამ დასათესად სამი-ოთხი წლის თესლი სჯობია.

ნიშნები საზამთროს მოწევისა არის: მიღით საზამთროსთან ახლო და კარგად დაკვირდით იმის ყუნწში: თუ ყუნწში ბუსუსი მოჰშორებია და მასთან ახლო მყოფი დახლაკნული ბრწყალიც გაჰვინდია (გაშავებულია), მაშინ დარწმუნებული იყავით, რომ საზამთრო მწიფეა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში—მკახე. დიდრონი საზამთროების ქერქით ამზადებენ მურაბას, ხოლო წერილი საზამთროებით— მწნილსა.

ნესვი. დინი. Cucumis Melo.

ნესვი 22 ჯურისაა. ნესვიც ისე უნდა მოიყეანოთ, როგორც საზამთრო; ნესვიც რაც შეიძლება თხლად უნდა დაითესოს, რადგანაც სქლად დათესილი წერილი და უგემური გა-

მოდის. სათესლედ არჩევენ მსხვილს და კარგად დაწიფებულ ნესვებს; თესლს ჩეცხავენ წმინდა წყალში, შემდეგ აშრობენ ნიავზედ და ინახავენ მშრალ აღვილას. ასე მომზადებული ნესვის თესლი ინახება ათ წლამდის, მაგრამ დასათესად სამი-ოთხი წლისას ჩეცხობენ. ნესვის შემთხვევაში გაიგება იმით, რომ მას სიყვითლე ერეა და საამური სუნი ეძლევა. წვრილი შემთხველელი ნესვებით ამზადებენ მწნილსა.

გოგრა. Тыква. Cucurbita PERO.

გოგრა ორას ჯურამდის იქნება. ითესება პირველი მარტიდან დაწყობილი იყენება მასში. გოგრა სხვა მცენარე-საეთ ნაზი არ არის და მოდის ყოველ-გეარ მიწაზედ, მაგრამ მსხვილი გოგრების მისაღებად, მიწას სასუქი უნდა დააყაროთ. გოგრას სთესავენ როგორც საზამთროს და რაც შეიძლება თხლად, ასე რომ ერთი ძირი მეორეს თრი სამადლით¹⁾ შეირაცხეს; თითო ძირი ექვსიდგან ათამდის და ხან თხუთმეტამდის გოგრას იბამს. მორწყეას ძალიან არ საჭიროებს, შეიძლება მოურწყავათაც დარჩეს, თუ მიწა ძალიან ხმელი არ არის; მაგრამ წყალში გახსნილი საჭონლის ახალი ნეხვით მორწყეა გოგრას ძალიან უხდება. თოხნა და გარე-შემო მიწის აჩვილება უნდა ერთხელ ან ორჯელ. სანამ გოგრა არ დაირთოილება, არ უნდა მოიკრიფოს: დათრითეილული გოგრა დიდხანს ინახება და გემრიელიც დგება. სათესლედ არჩევენ მსხვილს და კარგად შემთხვევაში გოგრებს; თესლს კარგად ჩეცხავენ წყალში, შემდეგ აშრობენ ნიავზედ და ინახავენ მშრალ აღვილას. ასე მომზადებული თესლი ინახება შეიდრეა წლამდის. მწიფე გოგრით ამზადებენ მშეენიერს საჭმელს და შემწევა-

¹⁾ სამადლი არის სამი ადლი. რუსულად — сажень.

როც ხომ კარგი ხილია; შემოუსელელი წერილი გოგრებით-
კი ამზადებენ მწნილს და ბორანისს. ბორანისი არის გოგრით
მომზადებული ხორუი, მეტად გემრიელი. ამ საჭმლის კეთება
იყან ინგილოელებმა, რომლებიც ცხოვრობენ ზაქათალის მა-
ზრაში.

ლობიო. ფასოლი. *Fhaseolus vulgaris*.

ჩვენში სთესენ ორგვარ ლობიოს: ფიჩის ლობიოს და კუტა
ანუ ნელა ლობიოს. ფიჩის ლობიო იქნება ათი ჯურისა დაკუტი —
ოცი ჯურისა. ფიჩის ლობიო რაც შეიძლება თხლად უნდა და ითე-
სოს, ასე რომ ერთი ძირი მეორეს შორავდეს ერთი ადლით, რადგა-
ნაც ლობიო, რამდენათაც თხლად იქნება დათესილი, იმდენად
უფრო ბევრს და გემრიელს პარკებს ისხამს. არც ნელა ლო-
ბიოს უნდა სქლად დათესეა: ერთი ძირი მეორეს თახი გრით
უნდა შორავდეს. ფიჩის ლობიო ნახევარი ადლის სიმაღლეზედ,
რომ გაიზრდება, უნდა ფიჩი შეუდგათ, თორემ ლობიოს ბრწყა-
ლი მიწაზედ მოიინიება და რაგიანად ველარ გაიზრდება. რად-
გან ლობიოს ეშინიან სიცივისა, ამისთვის სჯობია დაითესოს,
აპრილში, როდესაც დედა-მიწა გაშრება და გათბება; აპრილზედ
აღრე დათესილი ლობიო ნახევარზედ მეტი ამოუსელელი რჩება,
მომეტებული სინესტისაგანაც ბევრი ლპება მიწაში და რაც
ამოდის, ისიც გაზაფხულის სიცივებისაგან ყეითლდება, რის გა-
მოც ველარ მოაქეს ხეირიანი ნაყოფი. ლობიოს უყვარს ღრმად
დაბარული და კარგად გათოხნილი მიწა, მაგრამ ძალიან ნოჟო-
ერი მიწაც არ უხდება. დათესვის დღიდგან შემოსელამდის ლო-
ბიო უნდა მოიჩინას ორჯელ ან სამჯერ და ერთხელ ან ორ-
ჯელ გაითოხნოს, რომ უბრალო ბალახი არ მოერიოს.

სათესლედ არჩევენ კარგად შემოსულ და უკეთეს თესლს,
რომელსაც რამდენიმე დღის განმავლობაში მზეზედ ახმობენ და ი

შემდეგ ინახამენ მშრალ ადგილას. ასე მომზადებული თესლი ინახება ექვს-რეა წლამდის. როგორც ნედლი, ისე ხმელი ლობიოთი ამზადებენ მშენიერს საჭმელებს და მწნილებს.

ცერცვი. Туриецкие бобы. *Vicia Faba*.

ცერცვი ძალიან ბეერ-გვარია; რადგანაც ცერცვის სიცივისა არ ეშინიან, ამიტომ მისი თესვა შეიძლება პირველ თებერვლიდებან, თუ ამინდი წებას მოგცემს; ცერცვი ლობიოსავით ნაზი, არ არის და გვარობს კარგად ყოველ გვარ მიწაზე. ცერცვი უნდა დაითესოს თხლად, რადგან სქლად დათესილი თამამად ვერ იზრდება და ვერც მსხვილს და ბეერს წაყოფს ისხამს. თოხნას საჭიროებს ორჯელ, ხოლო მოჩრწყვას—სამჯერ ან ოთხჯერ. ნედლ ცერცვის ხმარობებს ისე, როგორც ნედლ ლობიოს; გამხმარ ცერცვის-კი ფქვამენ ხელ-საფქვავით და ამზადებენ მშენიერს შეჭამანლ. სათესლედ არჩევენ მსხვილს და კარგად შემოსულს ცერცვის; გამხმარ თესლს ინახავენ ისე, როგორც ლობიოს თესლსა... თუ ცერცვი კარგად ვერ არის შენახული, მას გულში უჩნდება პატარა შავი ჭია, რომელიც მცირე დროს განმავალობაში სულ აფუჭებს მას. თესლი ინახება სამ-ოთხ წლამდის. ნედლი ცერცვით ამზადებენ მწნილსა.

მუხტუდო. Горохъ. *Pisum sativum*.

მუხტუდო არის 33 ჯურისა; მათში ზოგი ფიჩისაა და ზოგი—კუტი. ორივე გვარ მუხტუდოს სთესვენ რიგზედ, ისე, რომ ერთი რიგი ადლ-ნახევრით შორავდეს მეორეს. როცა ფიჩის მუხტუდო გაიზრდება ოთხ გრემდის, მაშინ მას ფიჩი უნდა შეუდგათ, რადგანაც უამისოდ ის მიწაზედ გაიშლება და წესიერად ვეღარ დაისხამს. მუხტუდო ლობიოსავით ნაზი არ

არის, მას არ ეშინიან სიცივისა, ამიტომ მისი თესვა მარტშიაც შეიძლება. მუხუდოს ისე უნდა მოვლა, როგორც ლობიოს. თოხნა და მორწყევა აუცილებლად საჭიროა მისთვის. ნედლ მუხუდოს ხმარობენ ისე, როგორც ნედლ ლობიოს, ხოლო გამხმარი მუხუდოთი აშზადებენ შშვენიერს წენიანს და შეჭამანდს. სათესლედ არჩევენ მსხვილს და კარგად შემოსულს მუხუდოს, რამდენიმე დღით აშრობენ და შემდეგ ინახამენ მშრალ ადგილას; წინააღმდეგ შეძთხევებაში მასაც, როგორც ცურცეს, შიგ გულში პატარა მოშავო ჭიები უჩნდება და სულ აფუჭებენ. თესლი ინახება ხუთ-ექვს წლამდის. ნედლი მუხუდოთი ამზადებენ შშვენიერს მწნილს.

სიმინდი. Kukuryza. Zea Mays.

სიმინდი არის 22 ჯურისა. ითესება აპრილიდგან დაწყობილი პირველ თიბათვემდის. ადრეულა სიმინდი შემოდის მარიამობისთვის დამლევს, გვიანი—ლეინობისთვეში. სიმინდი მოდის ყოველ გვარ მიწაზე, მაგრამ სასუქიან მიწაზე უფრო კარგად მოდის და კარგს მსხვილს ტაროებსაც იკვეთებს. სიმინდმა იცის ბლარტობა, ე. ი. ძირიდგან ამოიხეთქამს არამდენიმე ლეროს; კარგი და მსხვილი ტაროების მისაღებად ბლარტები უნდა შემოაცალოთ და მარტო უმთავრესი ლერო შეარჩინოთ. სიმინდი არც თხლად უნდა დაითესოს და არც სქლად, მაგრამ ვისაც სურს მარტო ნედლი ფუჩქის მიღება ზამთარში საქონლის გამოსაკვებად, მაშინ სქლად უნდა დაითესოს და ბლარტებიც არ მოაშოროთ. საქონლის საკვებად დათესილი სიმინდი უნდა გათიბოთ მაშინ, როცა ლეროები ცოცხეს ამოიყრის.

რუსული ბაღის ვეგანი. Помидоры.

Solanum lycopersicum.

რუსული ბაღიჯანი 11 ჯურისაა. ის სხვა მცენარესაეთ ნაზი

არ არის და არც ზამთრის სიციისა ეშინიან, ამიტომ, შემოდგომაზედ დათესილი გაზაფხულზედ აღრე ამოდის და, რასაკეირელია, ნაყოფიც აღრე მოაქებ. ითესება პირველი მარტიდან აპრილის გასელამდის, რაც შეიძლება სქლად, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბევრი თესლი ამოუსვლელი ჩება და მეორეც იმიტომ, რომ, როცა ნერგი¹⁾ სიმაღლით სამ გრემდის გაიზრდება, ის უნდა გადირგას სხვა ადგილას, რომელიც კარგად უნდა იყოს აფხვიერებული და საქონლის დამიწებული ნეხვით გაპოხიერებული. ძირი ძირს უნდა შორავდეს ერთი ადლით; ასე დარგული რუსული ბაღრიჯანი მშეენიერად იზრდება, რაღვანაც ნიავი და მზე თავისუფლად მუშაობენ მის გარშემო. გადარგვის დროს ნერგის ფეხები კარგია ამოაელოთ წყალში სქლად გახსნილ საქონლის ახალ სასუქში; ამით ფეხებს მაშინათვე ეძლევა საზრდო და ამიტომ ნერგი კარგად იზრდება. გადარგვის უმაღლე ნერგი უნდა მოიჩრდის და შეძლევაც გაიმეოროთ მოზრდა და გათოხნა, როცა საჭირო იქნება ეს. რუსული ბაღრიჯანი უნდა გადარგოთ ყოველთვის საღამოთი და აღრე დილაპბით, რადგანაც მზის შექმნედ გადარგული საბოსტნე მცენარეები საზოგადოთ მაღა ჰერნებიან და ფუჭდებიან. გადარგვის ერთი-ორი კვირის შემდეგ რუსულ ბაღრიჯანს უნდა ფიჩხი შეუდგათ და ზედ მიაკრათ, რაღვანაც უიმისოდ ლეროები მიწას ეფინება და ფუჭდება. როგორც მწიფე, ისე მკეახე რუსულ ბაღრიჯანს ხმარობენ მრავალნაირად. სათესლედ არჩევენ მსხეილს და მწიფე ბაღრიჯნებს; ჩაჰურიან ქეაბში ან ქილაში, ხელით კარგად დასრესენ, დაასხამენ წყალს და თხელ საცერებში ან ცხრილში გაატარებენ; თესლი საცერებში გავა და ჩენწო ზედ დარჩება; შემდეგ თესლი ხელ-მეორედ გარეცხეთ წყალში რამდენჯერმე და ნიავზედ გა-

¹⁾ ნერგი ეწოდება ახალგაზდა, გადასარგავად, მოყვანილ მცენარეებს.

აშრეთ; როცა თესლი საკმარისად გაშრება, აიღეთ და შეინახეთ მშრალ ადგილას; ასე მომზადებული თესლი ინახება ორსამ წლამდის.

ქართული ბაღოივენი. Baklajanъ.

Solanum Melondena.

ქართული ბაღრიჯანი არის 12 ჯურისა. ეს მცენარე ძალიან ნაზია და ძალიანაც ეშინიან მას სიცივისა; ითესება კვლებში პირველი აპრილიდგან მაისის ნახევრამდის, რაც შეიძლება სქლად, რაღანაც ბევრი თესლი ამოუსელებული რჩება. როცა ბაღრიჯანი სიმაღლით სამ გრემდის გაიზრდება, ის უნდა გადარგოთ სხვა ახლად მომზადებულს ფხვიერს მიწაში ისე, რომ ძირი ძირს ნახევარი ან ერთი ადლით შორავდეს; ბაღრიჯანი რაც თხლად იქნება გადარგული, იმდენად უფრო თამამად გაიზრდება და მომეტებულს ნაყოფსაც მოისხამს. გადარგეის დროს ნერგის ფესვები კარგია ამოავლოთ წყალში სქლად გახსნილ ახალს ნეხეში, რაღანაც ამით მცენარეს მაშინათვე საზრდო ეძლევა და კარგად იზრდება.

ზოგიერთი ჯიშის ბაღრიჯანი ისე მაღლა იზრდება, რომ უნდა ჯოხები შეუდგათ და მცენარე ზედ მიაბათ, რაღანაც უამისოდ მცენარე წაიქცევა და გაფუჭება. მორწყეა და თოხნა საჭიროა თავის დროზედ. სათესლედ აჩქევენ მსხეილს და მოგრძო ბებერ ბაღრიჯნებს; სჭრიან სამად ანუ ოქად ისე, რომ ნაჭრები ყუნწის არ მოჰშორდეს, შემდეგ ახმობენ მზეზე, და ინახევენ მშრალ ადგილას; თესლი ინახება ორ წლამდის. ბაღრიჯნით ამზადებენ მწნილს; ერბოში და ხახეში მოხრაკული და აგრეთვე მწვალთან შემწვარი შეადგენს ქართველების საყვარელ საჭმელს.

თევის ბოლოკუ. Рѣдисъ. *Raphanus sativa.*

თევის ბოლოკუ იქნება 27 ჯურისა. ითესება კვლებში პირ-ველი მარტიდგან დაწყობილი პირველ ღვინობისთვემდის, ყოველ ორ-კვირაში ერთხელ და რაც შეიძლება თხლად; თხლად დათესილი ბოლოკუ იზრდება თამამად და მსხვილს და გემრი-ელს თავებს იკეთებს. კვლები უნდა გაპატიმრდეს საქონლის დამიწებული ნეხეით; საქონლის ახალი ნეხეისაგან-კი ბოლოკუ უჩნდება გულში მოთეთრო ჭია. სქლად დათესილი ბოლოკუ სოლდება და ამიტომ თავებს ვეღარ იკეთებს. ზოგიერთნი ცდი-ლობენ ხშირი ბოლოკის გადარგვას, მაგრამ ამას მე არ ვურჩევ, რადგან ადგილზე დათესილი ბოლოკუ უფრო კარგად გვა-რობს, ვიდრე გადარგული. მორწყეა უნდა დილით და საღა-მოთი სარწყულით, რომ წყალი წყიმასაერთ ესხმებოდეს; მორწყების დროს სარწყელი ძალიან მაღლა არ უნდა გეჭიროთ, რომ მიწა არ დაიტკეპნოს. რამდენათაც ბოლოკუ სინესტეს არ მო-ვაკლებთ, იმდენად ის კარგს თავებს გაიკეთებს და დიდ-ხანსაც გასტანს, ხოლო, რამდენათაც ბოლოკუ მოკლებული იქნება სინესტეს, იმდენად მაღლ დაბერდება, ასოლდება და რიგიან თა-ვებსაც ვერ გაიკეთებს. ვისაც უნდა, რომ ბოლოკუ ადრე მო-იყენოს, უნდა თესლი გააღიოს ისე, როგორც ჰემოთა მქონ-და ნათქეამი კიტრის თესლის გაღიებაზედ (იხ. მე-7 გვ.). ხში-რად მოხდება ხოლმე, რომ ფოთლებს უჩნდება პატარა შავი რწყილი და შავი მოგრძო ჭია ანუ მატლი, რომლებიც დიდად აზარალებენ ბოლოკუს. ამათ წინააღმდეგი წამალი ის არის, რომ ფოთლებს უნდა მოაყაროთ გაცრილი კირი, ან წეკოს ფქვი-ლი, ან კიდევ წყალში მოხარმული წეკოს წევნი მოასხათ, რო-მელიც ჯერ უნდა გააციოთ და შემდეგ შეასხუროთ. გამარგვლა და ძირების აჩეილება უნდა რამდენჯერმე. სათესლედ არჩევენ

მსხვილ ძირებს; თესლს ინახავენ მშრალ ადგილას; თესლი ინახება ხუთ-ექვს წლამდის.

წიწმატი. Крессъ-салатъ. *Lepidium sativum*.

წიწმატი ექვსი ჯურისაა. ითესება მარტიდგან დაწყობილი ყოველ ორ კვირაში ერთხელ, მაგრამ, როცა ღიღი სიცხე და-ადგება, წიწმატს მწვანე ჩრდილი და შავი ჭია უჩნდება, რომ-ლებიც მოკლე დროში სულ ერთიანად აფუჭებენ მას; ამიტომ, ზაფხულში წიწმატი ნოტიო ადგილას უნდა დაითესოს, რომ სინესტე არ აკლდეს. წიწმატი რაც შეიძლება სქლად უნდა და-ითესოს და საქონლის დამიწებული სასუქით კარგად გააპატიმ-როთ ადგილი. მორწყვის დროს ფოთლები უთუოდ უნდა და-უსვეელოთ ხოლმე, რადგანაც ასე უფრო კარგად გვარობს. გა-მარგვლაც არ უნდა მოაკლდეს და კველები სუფთად უნდა შეი-ნახოთ. სათესლედ წიწმატს თხლად სთესავენ, რადგანაც თხლად დათესილი წიწმატი უფრო კარგს და მსხვილს თესლს იძლევა. თესლს ინახამენ მშრალ ადგილას. თესლი ინახება სამ-ოთხ წლამდის.

წიწაკა. Перецъ стручковый. *Capsicum annum*.

! წიწაკა არის რეა ჯურისა. ითესება აპრილში, რაც შეიძლება სქლად, რადგან ძალიან გვიან ამოდის და ბევრი თესლი ამოუ-სქლელი რჩება. წიწაკა ჯერ ცალკე კვალში უნდა დათესოთ და როცა ერთ გრეზე გაიზრდება, უნდა გადარგოთ ერთმანერთზე ნახევარი ადლის სიშორეზედ. წიწაკას უყვარს ნოკიერი მიწა; ჰოსესლამდის ბევრს მორწყვას არ ჭაჭიროებს და შემდეგ-კი კეი-ჭაში ან ორ კვირაში ერთხელ მაინც უნდა მოიჩყას. თოხნა, გამარგვლა და მიწის აჩვილება უნდა. თავის დროზედ. სათეს-

ლედ არჩევენ მსხეილ და კარგად შემოსულ პარკებს. თესლი ინახავენ მშრალ ადგილას; თესლი ინახება სამ-ოთხ წლამდის. ქორფა წიწაკით ამზადებენ მშენიერს მწნილს.

კამა. უკროის. *Anethum draveolens.*

კამა ორ-გვარია. ითესება მარტიდგან დაწყობილი ღვინობისთვემდის, ყოველ ორ-კვირაში ერთხელ, რაც შეიძლება თხლად. კამას უყვარს მორჩილი, როგორც ამოსელამდის, ისე ამოსელის შემდეგ. სხვა მცენარესაცით ნაზი არ არის და მოდის ყოველ გვარ მიწაზედ, ოლონდ სინესტე არ აკლდეს. თუ გინდათ, რომ მთელ ზამთარში კამა გქონდეთ, უნდა დათესოთ ენკვისთეის ბოლო რიცხვებში; ზამთრისთვის შეიძლება გამხმარი კამაც შეინახოთ. სათესლედ რაც შეიძლება თხლად უნდა დათესოთ. თესლს ინახავენ მშრალ ადგილას. თესლი ინახება ორ წლამდის. კამას ხმარობენ როგორც მწვანილსა და აგრეთვე საჭმელში როგორც სანელსა და მწნილების ჩადებაში, როგორც სუნნელსა.

ქინძი. კიშნეც. *Coriandrum sativum.*

ქინძი არ არის ნაზი მცენარე; იგი მოდის ველურათაც მინდვრებში. ითესება მარტიდგან დაწყობილი ღვინობისთვემდის, ყოველ სამ-კვირაში ერთხელ. ქინძს, როგორც ამოსელამდის, ისე ამოსელის შემდეგ უყვარს ხშირი მორჩილი; მარგვლაც უნდა თავის დროზედ. ზამთრისთვის ქინძს ინახავენ, როგორც კამას. სათესლედ უნდა დაითესოს, რაც შეიძლება თხლად; თესლს ინახავენ მშრალ ადგილას; თესლი ინახება ორ-სამ წლამდის. ქინძსაც ხმარობენ მწნილებში, როგორც სუნნელსა და საჭმელში, როგორც სანელსა.

ქონდარი. Чаберъ. *Satureja hortensis.*

ქონდარი ორი ჯურისაა. არ არის ნაზი და მოდის ჩეცნში ველურათაც. მისი თესვა შეიძლება ღაწუობილი მარტილგან, ვი-ლე ღვინობისთვემდის, ყოველ სამ კვირაში ერთხელ; მორწყეა და მარგვლა უნდა თავის ღროჟედ. ზამთრისათვის შეიძლება შე-ინახოთ გამხმარი ქონდარი. სათესლედ უნდა დაითესოს რაც შეიძლება თხლად; მშრალ ადგილას თესლი ინახება ორ წლამ-დის. ხმარობენ როგორც სანელს და სუნნელს.

ოეჭანი. Базиликъ. *Ocimum Basilicum.*

რეპანი ორი ჯურისაა. ამასაც ისე უნდა მოელა როგორც ქონდარს, ხოლო ამას უყეარს უფრო სასუქიანი ადგილი და ხშირი მორწყეა. თესლი მისი ინახება ორ-სამ წლამდის. რეპ-საც ხმარობენ როგორც სანელს და სუნნელს.

ნ ა ჭ ი ლ ი ვ ა თ ხ ვ .

ორ-წლოვანი საბოსტნე მცენარეები.

კომბოსტო. Капуста кочанная.

Brassica oleracea caritata.

კომბოსტო 49 სხეა-და-სხეა ჯურისაა; მათში 12 კვავი-ლიანი კომბოსტოა, 9 თეთრ-თავიანი, 3 წითელ-თავიანი და

დანარჩენი 21 სხვა-და-სხვა თეისებისა და აგებულობისაა. კომ-ბოსტო ზოგი აღრეულია და ზოგი გვიანი. აღრეულა კომბოს-ტოს სთესავენ თბულებში თებერვლის და ან მარტის გასულს პირ-და-პირ ბოსტანში, ხოლო აპრილში ნერგი უნდა გადირგას კვლებში. გვიანი კომბოსტო უნდა დაითესოს მაისის თხუთმე-ტიდან, ხოლო ამაზე აღრე დათესვა-კი არ ვარგა, რადგანაც აღრე დათესილს კომბოსტოს თავები უსკლება და შუაგულიდ-გან მწევანე უვარებისი ფოთლები ამოსდის. გვიანი კომბოსტო რამდენადაც გვიან შემოვა, იმდენად მაგარს და მსხვილს თავებს გაიკეთებს და კარგი გემოსიც იქნება. კომბოსტო სხვა ბოსტნე-ულისავით ნაზი არ არის და 6—7 გრადუსი სიცივეც ვერას აკლებს.

კომბოსტოს თესლის სთესავენ საქონლის დამიწებული სა-სუქით კარგად მომზადებულ კვლებში; დათესვის დღიდგან, ნერ-გის გადარგვამდის, უნდა ყოველ დღე ორჯელ მოიჩრდის სარ-წყულით, დილით აღრე მზის ამოსვლამდის და საღამოთი. რო-ცა ნერგი სიმაღლით სამ გრემდის გაიზრდება, უნდა გადირგას იმისთანა მიწაში, რომელიც გაპატივებულია საქონლის ახალი სასუქით, რადგანაც ახალს სასუქზედ კომბოსტო უფრო კარ-გად გვარობს. კომბოსტოს რგავენ სხვა-და-სხვა წესით, მაგ-რამ ადეილად დარგვისათვის და მორწყეისათვის აკეთებენ არხებს, ასე რომ ერთი არხი მეორეს 10—12 გრით შო-რავდეს; არხებს აკეთებენ სილრმით და სიგანით 4 გრემ-დე; ამ რიგად მომზადებულ არხების ნაპირებზე რგავენ კომ-ბოსტოს ისე, რომ ერთი ნერგი მეორეს შორავდეს, დილ-რონ თავიანი კომბოსტო 10—12 გრითა, ხოლო პატარა თა-ვიანი კომბოსტო—ნახევარ ადლითა. ნერგი უნდა გადარგათ ყოველთვის საღამოთი, სიგრძილით, ან კიდევ დილით აღრე, რადგანაც მზის შუქზედ გადარგული კომბოსტო მალე ჭინება

და ბევრი ძირიც ხმება. გადარგვის დროს ნერგის ფესვები უნდა ამოაელოთ წყალში სქლად გახსნილ საქონლის ახალ სასუქში, რაღაც ამით ფესვებს მაშინათვე საზრდო ეჭლება და კომბოსტო კარგად იზრდება. გადარგვის შემდეგ ნერგი უთუოდ უნდა კარგად მოიჩინა და შემდეგშიაც, როცა საჭირო იქნება, მორწყვა უნდა გაუმეოროთ. როდესაც ნერგი ორი გრის სიმაღლეზედ გაიზრდება და ოთხ-ოთხ ფოთოლს გაიკეთებს, სხვა ყველა ფოთლები, რომლებიც მიწასთან ახლო აქვს, უნდა ფრთხილად მოაშოროთ, მიწა შემოაყაროთ გარშემო და მაშინათვე მორწყათ. გარშემო ფოთლების შემოყრა და მიწის შემოყრა უნდა ორჯელ ან სამჯერ; მიწის შემოყრის დროს თითონ რუებიც უნდა გაწმინდოთ და გათოხნოთ ხოლმე. რამდენათაც უფრო ბეჯითად შემოაცლით კომბოსტოს დაბლითა ფოთლებს და გარშემო მიწას შემოაყრით, იმდენად კომბოსტო უფრო მსხვილ თაებს გაიკეთებს. თუ მიწის შემოყრის დროს კომბოსტოს დაბლითა ფოთლები არ შემოეცალა, ფოთლები მიწაში მოჰყვება, მალე დალპება და მთელს ძირსაც დაალპობს. გადარგვის დღიდან მარიამობისთვემდის კომბოსტო უნდა მოიჩინა ში ერთხელ და თუ დიდი სიცხვები დაიჭირა, ორჯელაც მოუხდება მორწყა.

რაც შეეხება კომბოსტოს მტრებს, უნდა ესთქვა, რომ კომბოსტოს ზაფხულობით უჩნდება რამდენიმე გვარი ჭია, რომლებიც ძალიან აფუჭებენ მას, თუ პატრონმა ყური არ მიუგდო. ეს ჭიები სჭამენ როგორც ფოთლებს, ისე გულსა და ძირსა. უკეთესი საშუალება მათ წინააღმდეგ ის არის, რომ კვერცხები და თითონ ჭიები ხელით მოაგროვოთ ხოლმე და დახოცოთ ანუ დასწრათ. ეს საქმე ცოტა მოზრდილ გოგო-ბიჭებსაც შეუძლიანთ კარგად შეასრულონ და ამიტომ ურიგო არ იქნება მიერჩიოთ ხოლმე ისინი ამ საქმეს.

სათესლედ კომბოსტოს ინახავნ სხვა-და-სხვა გვარად. ზო-

გიერთნი თავებს აცლიან და ღეროებს სარდაფში რგავენ ქვი-
შაში; ზოგნი-კი სარდაფში ან გარეთ მშრალ ადგილას სთხრიან
ორმოებს და ამ ორმოებში აწყობენ რიგზედ კარგ მსხვილ. თა-
ვებს, ასე რომ ფესვები და ღეროები ზემოთა ჰქონდეთ და თა-
ვები ქვემოთ; შემდეგ მიაყრიან ზემოდგან მიწას და ზედაც და-
მალ თივას ანუ ბუჩის დააყრიან, რომ ზამთრის სიცივემ კომ-
ბოსტო არ დააძროს; მაგრამ მოსაშენებლად უმჯობესია, რომ
კომბოსტო თავებიანი შეინახოთ და არა მარტო ცარიელი ღე-
როები, რადგანაც ასე უფრო მეტი და საღი კომბოსტოს მო-
შენება შეიძლება. თესლი უნდა შეინახოთ მშრალ ადგილას.
თესლი ინახება 4—5 წლამდის, მაგრამ დასათესად 3—4 წლი-
სას ამჯობინებენ. კომბოსტოთ ამზადებენ მშენებელს მწნილს,
სალათას და წენიან საჭმელებს. ვისაც უნდა მთელი ზამთრის
განმავალობაში იქნიოს გაუთუთქავი კომბოსტო, იმან შემო-
დგომითვე უნდა აარჩიოს მსხვილი და მკერივი (მაგარი) თავები
და სარდაფში გრილად შეინახოს, ისე—კი, რომ სიცივემ არ და-
აძროს; სიცივისგან დამძრალ კომბოსტოს ეკარგება გემო და
მოხარშეითაც დიდხანს არ იხარშება.

ჭარბალი. Свекла, бураки. Beta vulgaris.

ჭარხალი არის 12 ჯურისა. ითესება ათი მარტიდგან დაწ-
ყობილი აპრილის დამლევამდის. ვისაც უნდა, რომ მსხვილი და
უგემური თავები მიიღოს, ჭარხალი უნდა დაითესოს მარტში და
ვისაც უნდა წერილი და გემრიელი ძირების მიღება, იმან ჭარ-
ხალი მაისის ნახევარში უნდა დათესოს. ჭარხალი ითესება ორ-
ნაირად: დაბნეეთ და რიგზედ, პატარ-პატარა რუებში ან კელებ-
ში ჩაყრით. როდესაც რიგზედ სთესავენ, მაშინ ერთი რუ მეო-
რეს ნახევარი აღლით უნდა შორავდეს და ერთი ძირი მეორეს—
ოთხი გრით. მსხვილი თავების მისაღებად და ადეილად მორწ-

ყვისათეის, ჭარხალი უმჯობესია დათესოთ რიგზედ. გათოხნა უნდა ორჯელ ან სამჯერ; აგრეთვე მორჩიუა. ჭარხალს და კომბისტოს იღებენ მიწიდამ ერთ და იგივე დროს, ე. ი. ლვინობისთვეში. სათესლედ არჩევენ კარგ მსხვილ თავებსა; ზამთრობით ინახევნ, როგორც კომბისტოს; გაზაფხულზედ ჩელმეორედ რგავენ მიწაში და ზაფხულში-კი თესლს იღებენ; თესლს ინახევნ მშრალ ადგილას; თესლი ინახება 4—5 წლამდის. ჭარხლით ამზადებენ მწნილს, სალათას, წვნიან საჭმელს და შემწვარიც კარგია. ჭარხლით ნაჭმევი საქონელი იძლევა უკეთეს და მეტს რძეს.

სტაფილო. Морковь. *Daucus carota.*

სტაფილო არის 11 ჯურისა. ითესება ორ რიგად: ერთი რიგობა ითესება აპრილში, ხოლო მეორე—მკათათვის გასულს, ან მარიამობისთვის დამდეგს. მარიამობისთვეში დათესილი სტაფილო ამოდის აღრე გაზაფხულზედ და აღრეულად ხმარობენ. სტაფილო ითესება ან კვლებში დაბნევით და ან რიგზედ, მაგრამ დაბნევით დათესილი სტაფილო უფრო კარგად გვარობს. რადგანაც სტაფილოს თესლი ერთმანერთს ძნელად შორიდება და თანაბრად ვერ ითესება, ამიტომ დათესების წინ უნდა ხელით კარგად დატშნიტოთ, წერილ ქეთშაში აურიოთ და ისე დასთესოთ. სტაფილოს სთესავენ რაც შეიძლება თხლად; თხლად დათესილი სტაფილო თამამად იზრდება და მსხვილს ძირებსაც იყეობს. სათესლედ არჩევენ მსხვილ ძირებს, ფოთლებს აცლიან და სარდაფში ან გარეთ მიწაში ინახევნ ისე, როგორც ჭარხალს. კარგი მსხვილი სტაფილო მაშინ მოდის, როდესაც ის ითესება ქეთშა-ნარევ მიწაში. მარგელა და მორჩიუა უნდა თავის რიგზედ, ხოლო ბევრი მორჩიუაც არ არგებს სტაფილოს, რადგანაც ხშირად მორჩიული სტაფილო უგემური დგება. რამ-

დენათაც სტაფილოს კარგად აუჩეილებთ მიწას, იმდენად ის უფრო მსხვილს და გემრიელს ძირებს გაიკეთებს. თესლს ინახავენ შშრალ ადგილას; თესლი ინახება 3—4 წლამდის. სტაფილოს ხმარობენ საჭმელში და როგორც ხილს; სტაფილოთი ნაჭმეები საქონელი იძლევა მშეენიერ და ბევრ რძეს.

ზამთრის ბოლოუკი. Рѣдька.

Raphanus sativus.

ზამთრის ბოლოუკი არის 19 ჯურისა. მათში 8 ჯურა ზაფხულისაა, 3 შემოდგომისა და 8-ც ზამთრისა. ბოლოუკი ითესება სხეა-და-სხეა ღროს გადაბნეებით და ან რიგზედ ჩაყრით. ზაფხულის ბოლოუკი ითესება მარტში, შემოდგომისა—თიბათების ნახევარში და ზამთრისა—პირველ თიბათებიდან. ზამთრის ბოლოუკს უყვარს ნოტიო და ნოყიერი ადგილი და სიცივისა არ ეშინიან. თუმცა სიცივე მას ვერას ავნებს, მეტადრე თუ ღრმად არის მიწაში, მაინც კარგია, რომ ბოლოუკი თავის ღროზედ ამოილოთ, რადგანაც სიცივეში ამოლებულს ბოლოუკს ეკარგება თავისი ღირსება. ბოლოუკი რაც თხლად იქნება დათესილი, იმდენად მსხვილ თავებს იკეთებს; თოხნა და მორწყება უნდა თავის რიგზედ. სათესლედ არჩევენ მსხვილ ძირებს, ფოთოლს აცლიან და ინახავენ მიწაში ან სარდაფში, როგორც ჭარხალს და სტაფილოს. გაზაფხულობით ილებენ მიწიდგან და რგავენ კელებში; თესლს მოიცემა მკათათვეში ან მარიამობისთვეში. თესლს ინახავენ შშრალ ადგილას. თესლი ინახება სამ-ოთხ წლამდის. ზამთრის ბოლოუკით ამზადებენ სალათასაც ძმრით და ზეთით.

თალიგაძი. Рѣпа. Brassica Rapa.

თალგამი 19 ჯურისაა. ითესება მარტიდგან დაწყობილი

პირველ მარიამობისთვემდის, რაც შეიძლება თხლად; თხლად დათესილი თალგამი კარგად გვარობს და კარგ მსხვილ თავებსაც იყენებს. თალგამს უყვარს ქვიშა-ნარევი ნიაღაგი და ითესება ორ რიგად: გადაბნევით და რიგზედ; უყვარს ხშირი მორწყვა, მეტადრე როცა ქვიშან ნიაღაგზედ არის დათესილი; მარგვლა და თოხნა უნდა თაერი რიგზედ. საზამთროდ ინახავენ ისე, როგორც ზამთრის ბოლოებს; სათესლედ თალგამს რგავენ გაზაფხულობით და ზიფხულში თესლს იღებენ. თესლი ინახება ოთხ წლამდის. თალგამს ხმარობენ ისე, როგორც ზამთრის ბოლოებს.

საზეი. ლукъ. *Allium Cera.*

ხახეი ოცი სხვა და სხვა ჯურისაა. ითესება მარტში და აპრილში, მაგრამ ეისაც უნდა თებერვალში იქონიოს ადრეული ხახეი, იმან უნდა ენკენისთვეში დათესოს; რაღვანაც ხახეი ძალიან გვიან ამოდის, ამისთევის. თესლის მაღვე გაღივებისათვის, მას თბილ ადგილას და სველ ქვიშაში ინახავენ; ასე შენახული თესლი ორი კვირით აღდრე ამოდის. უფრო კარგი და მსეილი ხახეი მაშინ მოდის, როცა ითესება საქონლის დამიწებული სასუქით გაპოხიერებულ ადგილზე. ხახეი უნდა დაითესოს არც თხლად და არც სქლად; სქლად დათესილი ხახეი კარგს თავებს ვერ იყენებს და მაღვე სოლდება და თხლად დათესილი-კი მსხვილ თავებს იყენებს. როცა ხახეი ოთხ ან ხუთ გრეზე გაიზდება, უნდა გათხელდეს და გაიმარგლოს. გათხელების დროს ამოლებული ხახეი სხვა ახლად მომზადებულ კვლებში უნდა გადაირგას სამ გრეზე თითო ძირი; გადარგის დროს ნერგს ფოჩები და ცოტათი ფესვები უნდა მოაკვეყნოთ, რაღვანაც ფოჩები და ფესვებ შემოკვეყნილი ხახეი უფრო კარგად გვარობს და კრეგ მსხვილ თავებსაც იყენებს. გარდა ამისა კარგია ამოაკვლით

ფესვები წყალში სქლად გახსნილ საქონლის ახალ სასუქში. და-თესვის დღიდგან ამოსელამდის ხახვი უნდა მოირწყას სარწყულით კვირაში ორჯელ, ხოლო შემდეგ პირ-და-პირ კელებშიაც შეგიძლაანთ მიუშვათ წყალი. დამსხვილების შემდეგ ხახვი აღარ საჭიროებს მორწყეას, რადგანაც ამ დროს მორწყული ხახვი დიდხანს ვეღარ ინახება. მარგვლა და მიწის აჩეილება ხშირად უნდა. ორი ან სამი კვირის წინად ამოლებამდე, მსხვილი და მკერივი თავების მისალებად, ხახვს უნდა გაუთელოდ დეროები და ფოჩები გოდრის ზედ გორებით. სათესლედ არჩევენ კარგს და მსხვილს თავებს; ზამთრობით ინახევნ მშრალად სხვენში ან კიდევ სარდაფში, ოლონდ გაშლილი უნდა იყვეს; სათესლედ რგავენ გაზაფხულობით გარეთ კელებში და ზაფხულობით იღებენ თესლს; თესლი უნდა შაინახოთ მშრალ ადგილას; თესლი ინახება ორ წლამდის, შემდეგ-კი აღარ გვარობს, რადგანაც ძელ-დება და ამოსასელელი ღივი უფუჭდება. ხახვის მტერი ბოსტანაა, რომელიც უჭამს მას ძირებს. თუ ბოსტანა ძალიან გამრავლდა, სოროებში უნდა აღუღებული წყალი ჩასხათ და ისე დახოცოთ.

პრასა. Лукъ-порреи. Allium Porrum.

პრასა ხუთი ჯურისაა; მათში ორი ჯურა ზაფხულისაა და სამი ზამთრისა. ითესვება ორ რიგად: ადრეულა პრასას სთესვენ მარტში ან აპრილში, გვიანს—ენ კენისთვეში. პრასა სხვა მცენარესაეთ ნაზი არ არის, ყველგან კარგად ხარობს, ხოლო რაც შეიძლება თხლად უნდა დაითესოს; სქლად დათესილი-კი შეიძლება გაათხელოდ და მეტი ძირები სხვა ადგილზე გადარგად, ისე რომ ერთი ძირი მეორეს სამი გრით შორავდეს. ვისაც უნდა, რომ მსხვილი თავები და ფოჩები მიიღოს, იმან მიწის პირად უნდა გათიბოს; მაშინ პრასა ამოიყრის მსხვილ და ნორჩ ფოთლებსა. მორწყეას და მარგვლას ძალიან საჭიროებს. სათესლედ

არჩევენ სხვილ ძირებსა. რაღანაც პრასას არ ეშინიან ზამთრის სიცივისა, ამიტომ სათესლედ გადადებული ძირები, შეიძლება გარედ დასტოორთ კვლებში, გაზაფხულზედ ამოიტანს ლეროვებს და ზაფხულში თესლსაც მიიღებთ; თესლი უნდა შეინახოთ მშრალ ადგილას; თესლი ინახება ორ წლამდის; პრასით ამზადებენ შშეენიერს მწნილს.

ოსრაზუში. Петрушка. *Petroselenum sativum.*

ოხრახუში არის ექვსი ჯურისა. ითესება მარტში, აპრილში და ლვინობის თევში, რაც შეიძლება თხლად. ოხრახუში მოდის ყოველ-გვარ მიწაზედ, მაგრამ უფრო კარგად გვარობს ნოტიო ადგილზედ; გამარგველა და მიწის აჩეილება ძალიან უხდება. სა-თესლედ არჩევენ მსხვილ ძირებს; ზამთრობით ინახევნ სარდაფუში მშრალ ადგილას, მაგრამ შეიძლება გარეთ მიწაშიაც დარჩეს. თესლი ინახება ორ-სამ წლამდის.

ნიაზური. Сельдерей. *Apium draveolens.*

ნიახური არის ექვსი ჯურისა; ითესება მარტში, აპრილში და ლვინობისთვეშიაც, რაც შეიძლება თხლად, რაღანაც, თხლად დათესილი ნიახური მსხვილ ძირებს და ლეროვებს იკეთებს, რომელიც ძალიან საჭიროა მწნილების ჩასადებად. ნიახურს უყვარს ნოტიო და სასუქიანი ადგილი. ამოსელის შემდეგ უნდა ნახოთ და თუ დაატყოთ, რომ სქლად არის ამოსული, შეიძლება გაღარეოთ სხვა ახლად მომზადებულ კვლებში. გარევლას, გარშემო მიწის აჩეილებას და მორწყვას ძალიან საჭიროებს, როგორც ამოსელამდის, ისე ამოსელის შემდეგ. სათესლედ არჩევენ მსხვილ ძირებს, რომელიც შეიძლება გარეთ დარჩეს. თესლი ინახება

2-3 წლამდის. ნიახურის ძირებით და ფოჩებით ამზადებენ მშვენიერს მწნილს.

ნ ა წ ი ლ ი მ ა ს ა მ ე.

გრავალ-წლოვანი საპოსტნე მცენარეები.

კართოფილი. Kartofel. *Solanum tuberosum*.

კართოფილი არის 24 ჯურისა. კარტოფილის მოყვანა შეიძლება ოთხ-ნაირად: 1) მხელი კართოფილებით; 2) დაჭრილი კართოფილით; 3) ნაფუქვენებით და 4) თესლით. კართოფილს სთესენ ოცი მარტიდან დაწყობილი ოც აპრილამდის; შეიძლება გიორგობისთვის დასთესოთ და მაშინ იღებენ მას აპრილში ან მაისში. კართოფილს სთესენ ორმოებში რიგზედ, ისე რომ ერთი რიგი შორავდეს მეორეს 12 გრით; თითო ორმოში სდებენ თითო ან ორს დაუჭრელ კართოფილს, მაგრამ მთელით თესეა მაშინ უნდა, როცა მემამულეს აქვს მოკარბებული კართოფილი. ხოლო, ვისაც საკმაო კართოფილი არა აქვს, იმან ერთი კართოფილი ოთხად ან ხუთად უნდა გასჭრას და თითო ორმოში თითო ან ორ-ორი ნაჭერი ჩადოს; ეს-კია, რომ ყველა ნაჭერს თვალი უნდა ჰქონდეს, საიდამაც კართოფილს ლიკი ამოსდის. კართოფილი შეიძლება მოეიყანოთ ნაფუქვენის დათესეითაც, ოლონდ მასაც ზედ თვალი უნდა ჰქონდეს; თითო ორმოში შეიძლება ჩასდოთ ოროლი ანუ სამ-სამი ნაფუქვენი და შემოდგომაზედ მიიღებთ მშვენიერ კართოფილს. კართოფილი შეიძლება თესლითაც ჰოიყვანოთ, მაგრამ თესლით მოყვანილ კართოფილს ბევრი შრომა და წვალება უნდა.

კართოფილს უყვარს ნოყიერი ქვიშა-ნარევი მიწა და რაც

გრის სიშორებედ. კვლები გაპატიმჩებული უნდა იყეს საქონლის დამიწებული ნეხეით; დარგვის დღიდეგან დაწყებული, სანამ ტოტი იხარებს, უნდა ყოველ დილა-საღმოთი მორწყათ და შემდეგშიც; როცა მცენარე წყალს მოითხოვს, მორჩყვა გაუმჯობოთ. თოხნას და მიწის აჩვილებას ტარხუნა ძალიან საჭიროებს; რამდენათაც ტარხუნას უფრო ბეჯითად აუჩეილებთ მიწას, იმდენად ის ამოიხეთქავს უფრო მეტს ტოტებსა. როცა დარგული ტოტები გათამამდებიან, უნდა გადარგათ სხვა ახლად მოშზადებულ კვლებში, 5—6 გრეზე ერთი მეორეისაგან. აგრეთვე კარგი ტარხუნის მიწის პირად გათიბეა, რადგანაც რამდენათაც ხშირად გასთიბავთ ტარხუნას, იმდენად უფრო მეტს ნორჩ ტოტებს ამოიყრის ის.

საზოგადოთ უნდა ესთქვათ, რომ მრავალ-წლოვანი მცენარეები ყოველ 3—4 წელიწადში უნდა გადარგათ ხოლმე ერთი ადგილიდეგან მეორეზე; ამისთანა გადარგვას ეძახიან მცენარეების გასასვებას. თუ სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ არ განახლდა მცენარე, მაშინ იმას ფეხსვები უბერდება და მოკლე ხანში სრულდად ამოვარდება. ზამთრობით მიწის პირად გათიბულ ტარხუნას ზემოდამ უნდა დააფაროთ თივა ან ფოთოლი, რომ სიკივემ არ დააძროს; გაზაფხულობით-კი ისევ უნდა ააცალოთ; მაშინ ტარხუნა ძირებიდან ამოიხეთქავს ნორჩ და გემრიელ ყლორტებს.

ბალის ჰიტნა. Мята. *Mentha crispa*.

პიტნა ძალიან ბეტრი ჯიშისაა; ზოგიერთ ადგილებში პიტნა მოდის ველურათაც, რომელსაც ხმარობენ წამლად. პიტნის გამრავლება და მოვლა უნდა ისე, როგორც ტარხუნას. პიტნას ხმარობენ როგორც მწეანილს, სანელებელს და სუნნელს. შე-

მოდგომით პირნა უნდა გაითიბოს მიწის პირად, რომ გაზაფეულზედ ამოიხეთქოს ნორჩი ტოტები.

მეურნა. შაველ.

მეურნა ოთხი ჯურისაა. ითესება კელებში მარტში, აპრილში და ლეინობისთვეში. როცა მეურნა გაიზრდება ორ გრეზედ, ის უნდა გადირგას სხვა გაპატივებულ კელებში, ნახევარი ადლის სიშორეზედ თითო ძირი. მეურნას უყვარს ნოტიო და სასუქიანი მიწა და სამ წელიწადში ერთხელ უნდა განახლდეს; როგორც ამოსვლამდის, ისე შემდეგშიაც უნდა ხშირად მოირწყას, გაიმარგლოს და გარშემო მიწა აეჩვილოს. სათესლედ არჩევენ კარგ ძირებს; თესლი ინახება სამ წლამდის. მეურნით ამზადებენ მშევნეორს წენიანს. შემოუგომით მეურნას სთიბავენ მიწის პირად, რომ გაზაფეულზედ ძირებიდგან მოხეთქოს ახალი ყლორტები და ფოთლები.

სატაცური. ციარჯა. Asparadus officinalis.

სატაცური 5 ჯურისაა. მრავლდება თესლით და ძირებით; თესლი ითესება მარტში და აპრილში; უყვარს ნოენი, ნოტიო და საქონლის დამიწებული ნეხეით გაპატიმრებული ადგილი. თესლზედ ამოსულს სატაცურს შემოდგომაზედ ანუ მეორე გაზაფეულზედ რგავენ სხვა აღვილას ისე, რომ ერთი ძირი შორავდეს შეორეს 12 გრით. როგორც გადარგვამდე, ისე გადარგვის შემდეგ სატაცური უნდა თავის დროზედ მოირწყას, გაიმარგლოს და გაითოხნოს. გიორგობისთვის დამლევს სატაცური უნდა გაითიბოს მიწის პირად და ზემოდგან დაეფაროს ფოთოლი, წალამი ან კიდევ თავა, რომ ზამთრის სიცივემ არ დააძროს; გაზაფეულზედ-კი უნდა ისევ ააკალოთ. ამისთანა მო-

ულა უნდება სამ წლამდის, შემდეგ-კი შეიძლება მოიკრიფოს. მოკრეფა უნდა ყოველ დღე დილაობით. სათესლედ არჩევენ მსხვილ და ჯან-საღ ძირებს; თელის მოკრეფა უნდა მაშინ, როცა წითელი თესლი გაუშავდება. თესლს ინახავენ ორ-ნაირად: ან მოკრეფის უმაღვე პრეცხავენ წმინდა წყალში, აშრობენ ნიავჭედ და ისე ინახავენ; ან კიდევ გაურეცხავს აშრობენ ნიავჭედ და ისე ინახავენ; პირველი წესით მომზადებული თესლი ინახება 2—3 წლამდის, ხოლო მეორე წესით მომზადებული—3—4 წლამდის. სატაცურით ამზადებენ ერბო-კვერცხით ანუ ნიგვზით მშეენიერ საჭმელს.

ნიორი. Чеснокъ. Allium sativum.

ნიორი სხვა მცენარესავით ნაზი არ არის: მას არ ეშინიან ზამთრის სიცივისა და მოღის ყველა ნიაღავჭედ, მაგრამ სხვილ თავებს იკვეთებს ხოლო ცხენის ახალი ფეინით გაპატიმრებულ ადგილზე. ნიორს სთესენ ან გიორგობისთვეში და ან თებერვალში და მარტში. დათესვა უმჯობესია რიგზედ, ისე, რომ ერთი რიგი შორავდეს მეორეს 4 გრით; თოხნა, მარგვლა, ვიწის გარეშემო აჩეილება და მორწყვა უნდა თავის დროზედ; რამდენათაც უფრო ხშირად გაითოხნება ნიორი, იმდენად უფრო მსხვილ თავებს გაიკეთებს. ნიორს იღებენ მიწიდგან თიბათევეში ან მკათათვეში, სწნავენ გალად და ისე ინახავენ სხვენში. თუმცა ნიერის სუნი ბევრს ეჯავრება, ნიორი მაინც მეტად მარგებელი საჭმელია და ბევრი სენის წამალიც არის. მისი ხმარება საჭმელში თუ ისე პურთან მარილით მუსრს აელებს მუკლის ჭიბებს. სათესლედ არჩევენ მსხვილ თავებს; ნიორი ინახება ერთ წლამდის; მეორე წელს-კი სოლდება და ფოჩდება. ნიერით ამზადებენ მშეენიერ მწნილს.

ხარდალი. Хрѣнъ. Armorocio ruslicano.

ხარდალს ხმარობენ საჭმელად, როგორც ნიორს, ხოლო
მას არა აქვს ის სუნი, რომლითაც ასე ბევრს აფრთხობს ნიო-
რი. ხარდალს ამრავლებენ ძირებით გიორგობისთვეში და მარტ-
ში; ერთი ძირი მეორეს უნდა შორავდეს 12 გრით. თოხნას,
მარგვლას, მიწის აჩვილებას და მორწყებას ხარდალი ძალიან სა-
ჭიროებს. რაღგანაც ფოთლები არ იხმარება საჭმელში და ძა-
ლას-კი ართმევს ძირებს, ამიტომ, ძირების დასამსხვილებლად
ფოთლები უნდა მოეკვეცოს მიწის პირად. შემოდგომით, ე. ი.
გიორგობისთვეში, ხარდალს სთიბავენ მიწის პირად; გაზაფხულ-
ზედ ხელ-ახლად ამოაქვს ფოთლები.

ხაჭიჭორა. Артишокъ. Cynara scolymus.

ხაჭიჭორა არის ექესი ჯიშისა; მრავლდება თესლით და ძი-
რებით; ხოლო რადგანაც თესლით გამრავლებას მეტი დრო და
წეალება უნდა, ამიტომ ხაჭიჭორას უფრო ძირებით ამრავლე-
ბენ. ძირებით გამრავლება შეიძლება გაზაფხულობით და შემო-
დგომით; ძირებს რგავენ ერთმანერთზე ერთი ადლის სიშორეზე,
ხოლო თესლს-კი სთესავენ გაზაფხულობით კელებში რიგზედ,
ისე, რომ ერთი რიგი მეორეს შორავდეს 4 გრათ. კვლებს
დილით და სალამოთი უნდა მორწყება. როცა მცენარე გაიზრ-
დება ორ გრემდის, უნდა გადირგას სხვა ახლად მომზადებულ
ადგილას ისე, როგორც ზემოთ იყო ნათქეამი. ხაჭიჭორამ იცის
ბლარტობა, ამიტომ რამდენიც იბლარტებს, იმდენი ბლარტები
უნდა მოაშოროთ და გადარგათ სხვაგან კარგად მომზადებულ
სასუქიან მიწაში; გადარგვის უმაღვე კარგად უნდა მოირწყას
და შემდეგშაც მიწა მუდამ ნოტიოდ უნდა შეინახოთ. ხაჭიჭო-

რა იზრდება ორი ადლის სიმაღლეზედ; ნაყოფი მოაქვეს მსხვილი გაშლის ოდენა. ამ ნაყოფს ჰკრეფავენ მაშინ, როცა გაიშლება და აყვავების დრო მოუახლოვდება.

ხაჭიჭორას ეშინიან ზამთრის სიციეისა, ამიტომ საპაპთოროდ ასე უნდა მოვლა: 1) სანამ სიციე მოახლოვდება, ხაჭიჭორას აცლიან ღეროებს და ფოთლებს მიწიდგან ორი გრის სიმაღლეზედ, შემდეგ ზემოდგან აფარებენ ქილებს, კასრებს ან კიდევ ღამპალ თივას; 2) სჭრიან ღეროებს იმ სიმაღლემდის, როგორუა ესთქეით ზემოთ; შემდეგ აყრიან თავამდი მიწას და მას ზე-ეით—ფოთოლს აჩუ თივას. სათესლედ აჩქევენ მსხვილს და საღძირებს; თესლი ინახება ხუთ წლამდის. ხაჭიჭორით ამზადებენ ერბოთი მშეენიერ საჭმელს.

ნ ა ჭ ი ლ ი გ ა რ თ ხ ე .

გოსტიერების შენახვას სსჩხმიროდ.

გწვანილის შენახვა გამორისათვის.

რაღაცანაც ზამთარში ახალი მწევანილი საშოვარია, ამიტომ ზაფხულში უნდა გაეწიოთ ამისი თადარიგი. დაკრიფეთ ახალი, ჩეილი მწევანილი: ქინძი, კამა, ქონდარი, რეჭანი, ოხრა-ხუში, ნიახური, პიტნა, ტარხუნა; დასჭერით წერილად და ყველა ცალ-ცალკე კარგაღ გაახმეთ მზეზედ; შემდეგ ჩაყარეთ პატარა პარკებში, დაწერეთ თავისი სახელები და ჩამოკიდული შეინახეთ მშრალ ადგილას; როცა გენებოთ იხმარეთ. თუ მწევანილი კარგად არ გაახმეთ, ის მაღლე დაობდება.

გამორისათვის ნედლი ღორბილის შენახვა.

დაკრიფეთ ნედლი ღორბილი (პარკები), შემოაცალეთ ძაფე-

ბი, დასჭერით ან დაამტერიეთ, ჩაყარეთ ქილაში ერთი წყება, ზემოლგან მოაყარეთ მარილი, მერე ჩაყარეთ მეორე წყება და ზემოლგან ისევ მარილი მოაყარეთ; გაიმეორეთ ასე, სანამ ქილა გაივსებოდეს. როდესაც ლობიო წვენს გაუშევებს, აპხადეთ ქილას სარქველი და დაასხით ცხერის თბილი ქონი ანუ ერბო ერთი თითის დადებაზე. როცა მოსახარშად დაგჭირდეთ, ამოიღეთ რამდენიც გენებოთ, ცხელ წყალში დაალბეთ, წყალი რამდენჯერმე გამოუცვალეთ და შემდეგ მოხარშეთ, როგორც გენებოთ.

ლობიოს შენახვა შეიძლება მეორე ნაირათაც: აიღეთ ლობიო, დასჭერით ანუ დაამტერიეთ და შემდეგ მზეზე კარგად გაახმეთ; როცა გახმება, ჩაყარეთ პარკებში და მშრალ ადგილას შეინახეთ ჩამოკიდებული. როცა დაგჭირდეთ, ჯერ ცხელ წყალში დაალბეთ სამიოდე საათით და შემდეგ მოხარშეთ, როგორც გენებოთ.

ზამთრისათვის ნედლი მუქუდოს შენახვა.

მოკრიფეთ დიდრონი და გრძელ-გრძელი მარცვლიანი მუქუდო; დამარცვლეთ და ზედ მარილი მოაყარეთ; როცა წვენი გაუშეას, წვენი გადაღვარეთ, მუხუდო-კი ჩაყარეთ ბოთლებში, პირი მაგრად დაუცევეთ, ჩაალაგეთ წყლით სავსე ქეაბში და კარგად მოხარშეთ საათ-ნახევრის განმავალობაში; შემდეგ ამოალავეთ და ჩაფალით სარდაფში მშრალ ქეიშაში. როცა მოხარშეა დაგჭირდეთ, მუხუდო ჯერ დაალბეთ და მერე მოხარშეთ როგორც გენებოთ.

ზამთრისათვის ქართული ბაღრი ვენის გასმობა.

აიღეთ ბაღრი ვენები, დაფუქევენით და სიგრძეზედ დასჭერით

ისე, რომ დაჭრილები ყუნწშ არ მოაშოროთ და მზეზე გამოჰკიდეთ გასახმობათ; როდესაც გახმეს, ჩაყარეთ პარკში და შეინახეთ მშრალ აღვილას; როცა გვინებოთ, სალამოთი დადგით ციფ ანუ ცხელს წყალში დასარბილებლად და შემდეგ მოიხმარეთ.

ზამთრისათვის რუსული ბალრივენით თაუთარის გავეთება.

მოკრიფეთ მწიფე რუსული ბალრიჯანი, ჩაყარეთ ქვაბში და მოხარშეთ წყალ დასხმული: როცა ორჯელ გადმოდულდეს, გაატარეთ საცერები, რომ ჩენჩხო და თესლი არ შეჰყევს; წვენი-კი ისეც დადგით ცეცხლზე და ხარშეთ იმდენს ხანს, რომ ნახევარი-ლა დაჩეს, გააციეთ და ჩაასხით ბოთლებში; დაუცევით (ჩობ-ლება¹⁾), ზედ მართულები გადუჭირეთ, თავები გადაულესეთ ლაქით ან ფისით და ციფ აღვილას შეინახეთ დაწვენილები. ასე მომზადებული წვენი შეიძლება ტილოებზელაც გადალესოთ თხლად და მზეზედ გაახმოთ; როცა კარგად გახმება, ააძრეთ და მშრალ აღვილას შეინახეთ, რომ არ დანესტიანდეს.

ასევე შეიძლება მომზადდეს ტყემლის, ქლიავის, შეინდის და მისთანების ტყლაპი.

საზამთროს და ნესვის შენაზე დიდ-ნიშამდის.

მოკრიფეთ ცოტათი შემოუსელელი საზამთრო და ნესვი,

¹⁾ ცობოლა ხის—რბილი ქერქისავან ვაკეოებული საცობია; რუსულად ეწოდება პრობეა.

გააშრეთ ჩამდენიმე საათით მზეზე, შეახვიეთ სქელ ზეწარში და ჩამოჰკიდეთ მშრალ და გრილ ოთახში. შეიძლება ასეც შეინახოთ: ასეთივე ნესვი და საზამთრო შეახვიეთ გამდნარ ცვალში¹⁾ ამოვლებულ ქაღალდში, ზემოდევან კარგად დახვიეთ წერილი თოკი, რომ ჰაერი არა ჰქოდებოდეს და ისე ჩამოჰკიდეთ ჭერში მშრალ და გრილ ადვილას. ასე შენახული საზამთრო ინახება ერთ წლამდის.

ზამთრისათვის ცეკვილიანი კომბოსტოს შენახვა.

აიღეთ ცეკვილის კომბოსტოს მკერიეი და სალი თავები, ასსით კანაფზედ ისე, რომ ერთი თავი მეორეს არ ხედებოდეს და ჩამოჰკიდეთ სარდაფის ჭერში, მშრალ ადგილას. ამ გვარად შენახული თავები ინახება გაზაფხულამდის, მაგრამ თუ სიცივისგან დამძრალია წინადვე, მალე გაფუჭდება.

ზამთრისათვის თავიანი კომბოსტოს შენახვა.

აარჩიეთ მაგარი მკერიეი თავები ძირიანად და ჩამოჰკიდეთ მშრალ სარდაფში ისე, როგორც ნათქემია ცეკვილა კომბოსტოზე. ან კიდევ დაყარეთ სარტაფში მშრალი ქვიშა და დარგით შიგ ძირიანი კომბოსტოს თავები; დრო გამოშვებით ნახეთ ხოლმე, რომ კომბოსტო არ გაფუჭდეს და სარდაფიც გაანიავეთ ხოლმე.

¹⁾ ცვილი—თაფლის სანთელია, რუსულად—восток.

ზამთრისათვის კართოფილის შენახვა.

ამოთხარეთ შშრალ საწლავში ანუ გარეთ დიდი ორმო, ჩაყარეთ შევ საღი კართოფილი და ზემოდგან დააფარეთ ჩალა ანუ ხმელი თივა; შემდეგ წაყარეთ ორმოდგანევ ამოთხრილი მიწა და შშრალი ქვიშა. კართოფილი უფრო მაშინ ინახება კარგად, როდესაც მინდვრიდგან მოტანისათანავე ჩაჰერით ორმოში, ხოლო გაფუჭებული კართოფილი არ უნდა ჩაყოლოთ.

ნ ა ჭ ი ლ ი მ ა ხ უ თ ე.

სხვა-და-სხვა მწილების ჩადება.

კიტრის მწენილი.

მოკრიფეთ შემოდგომით სამწნილე კიტრი ყუნწებიანათ და შეინახეთ ოთახში ანუ სარდაფში ერთ დღემდის, რომ დაჭინეს, რადგანაც დამჭინარი კიტრის მწნილი უფრო დიდ-ხანს ინახება, ვიღრე დაუჭინობელისა. შემდეგ ჩაწყეთ კარგად გარეცხილ ქილაში ან კათხაში¹⁾ ასე: ერთი რიგობა რომ ჩაწყოთ, მოაყარეთ ორი საჭმეო კოვზი²⁾ მარილი და ზედ დაადეთ დაჩქრებელი ნიორი და ისერიმი, მუხის ანუ ალუბლის ფოთლები და ცოტ-ცოტა ქონდარი, ქინძი, დიდი კამა, ნიახური, რეპანი, პიტნა და დაფნის ფოთოლი; ამას რომ მოაჩქრებით ჩაწყეთ ახლა შეთრე რიგობა კიტრისა თავისი მასალით, მერე მესამე და სხვა, სანამ ქილა თუ კათხა არ გაიღსებოდეს. ზემოდამ მოაყარეთ კიდევ ერთი-ორი მუჭა მარილი, დაასხით ცივი წყალი და დაფარეთ სარქველი ანუ პირს მოაკარით. ამ საჭმელ რომ მოაჩქრებით,

¹⁾ კათხა—ხის ჭურჭელია ძირიანი და მაღალი.

²⁾ საჭმელ კოვზი—СТОЛОВАЯ ПОЖАР.

ჭურჭელი დადგით საჩდავში გრილ ადგილას და დრო გამო-
შევბით ნახეთ ხოლმე: თუ წყალი დაჰკლებია — დაუმატეთ, თუ
პრე (ქაფი) მოუგდია — მოჰქადეთ.

კიტრის მწნილი შეიძლება მომზადდეს ამ რიგათაც: მწნი-
ლისათვის გამოუსადეგი კიფრები დასჭერით წერილად და ჩაყა-
რეთ ქილაში ან უ კათხაში ერთი რიგობა; ამაზე ჩაწყეთ ერთი
რიგოგა სამწნილე ყუნწიანი კიტრები და ზედ მოაყარეთ წმინ-
დათ დანაყილი მარილი, დაჩეჩქვილი ნიორი, ისერიმი, დაუჭრე-
ლი დიდი კამა, ქინძი, ქონდარი, რეპანი, ნიახური და ფოთო-
ლი დაფნისა, მუხისა და ალუბლისა¹⁾). შემდეგ გაავსეთ ქილა
სულ ასე რიგ-რიგად ჩაწყობილი დაჭრილი და მთელი კიტრით,
დაასხით ზედ ზედ ციცი წყალი, მოაყარეთ მარილი და შეინა-
ხეთ გრილ ადგილას.

შეიძლება ძმჩათაც მომზადდეს მწნილები, მაგრამ მარტო
ძმჩით, ე. ი. უწყლოდ, ჩაღებული მწნილი კაცისთვის მაენებე-
ლია. ზაფხულის მწნილსაც (კიტრის კვასს) ამ გვარად მომზადე-
ბა უნდა, ხოლო ისე არ ამლაშებენ, როგორც შემრადგომის
მწნილებს; შემოდგომის მწნილებს იმიტამ ამლაშებენ, რომ
წყალი დაშრება თუ არა ქილაში, მაშინვე სხვა წყალს უმატე-
ბენ.

წყალი კომბისტოს მწნილი.

მოსჭერით ყვავილა კომბოსტოს თავები, დასჭრით, ჩაყა-
რეთ ადულებულ წყალში, ერთი პირი გადმოადულეთ, ისე-კი
რომ არ მოიხარშოს და შემდეგ ამოალაგეთ ცხრილზე, რომ
დაიწყრითოს; შემდეგ ჩაწყეთ რიგზედ ქილაში ან კათხაში, მო-
აყარეთ ერთი პირი მარილი, უყავით დაფნის ფოთოლი, ქონ-

¹⁾ მუხის და ალუბლის უოთოლი მწნილს აკეთებს და ამაგრებს; ამ
ფოთოლებით შემოდგომაზე მომზადებული მწნილი ინახება მეორე კიტრო-
ბამდის.

დარი, დიდი კამა და სხვა სუნნელი; გაიმეორეთ ასე, სანამ ჭურჭელი გაიქცებოდეს, დასხით ციფი წყალი, ან წყალ-ნარევი ძმარი, ან კიდევ მარტო ძმარი, ვისაც როგორ უყვარს, და დაფილ გრილ ადგილას.

თავიანი კომბისტოს შენილი.

ააღეთ მკერიელი მაგარი თავები, თუ დიდი თავებია შუაზე ანუ ოთხათ გასჭერით, აღუღებულ წყალში გათუთქეთ (თუმცა გათუთქავი კომბოსტოს ჩადებაც შეიძლება მწნილად, მაგრამ გათუთქული უფრო მაღვე მწნილდება), ძალიან გათუთქვაც არ უნდა, რადგან ძალიან გათუდებული კომბოსტოსტოს მწნილი მაღვე ლპება; როცა დაატყოთ, რომ კომბოსტოს გათუთქვა ეყოფა, ამოიღეთ და პირდაპირ ციფ წყალში ჩაყარეთ, რომ სუნი დაეყარგოს; მერე ამოიღეთ ციფი წყლიდამ და ლასტებზედ ანუ სხვა რაზედმე დაწყეთ, რომ კარგად დაიწყრიტოს; შემდეგ მოაყარეთ შიგნიდამ და გარედამ მარილი და ჩაწყეთ რიგ-რიგათ ქილაში ანუ კათხაშა; ცყველა რიგს უნდა მარილი მოაყაროთ. საესე ჭურხელს დასხით შეხაეებული წყალი, რომელიც ასე უნდა მოამზადოთ: მწნილის რაოდენობის და გეარად დადგით ცეცხლზედ წყალი დიდი ქეაბით და ჩაყარეთ შიგ: ათიოდე პარკი წითელი წიწაკა, ერთი გალა ნიახური, ოთხიოდე ძირი ქონდარი, ოთხიოდე ძირი რეპანი, საკმარისად მარილი და აღუღეთ, სანამ წყალი მიიღებდეს მომწვანო ფერს; შემდეგ გადმოდგით, კარგად გააცივეთ, დასხით მწნილს და პირ-მოკრული დადგით გრილ და შშრალ სარდაფუში. შემდეგ დრო-გამო-შეებით უნდა ნახოთ და თუ წყალი ან მარილი აკლდეს—დაუმატეთ.

ნედლი ლობიოს შენილი.

ნედლი ლობიოს პარკები ჩაყარეთ მარილ-წყალში და და-

დფით ესე რამდენიმე დღით, სანამ ლობით გაყენითლდებოდეს; შემდეგ ჩაყარეთ სუფთა ჭურჭელში და დაასხით ზედ ცხელი ცხარე ძმარი; მეორე დღეს ეს ძმარი გამოუცვალეთ და ახალი ცხელი ძმარი დაასხით; ასევე გამოუცვალეთ ძმარი მესამე და მეოთხე დღეს, სანამ ლობით წინანდელ ფერზე არ დადგებოდეს. სუნნელად მიეცით: დაფნის ფოთოლი, ბაზრული პილპილი, ქონდარი და დაჩეჩქელი ნიორი.

ნედლი ლობითს მწინილის მომზადება შეიძლება ამ გვარათაც: აიღეთ ნედლი ლობით, ჩაყარეთ მდუღარე წყალში და ერთი რომ გადმოდუღდეს, ამოიღეთ თაბაზზედ ანუ ლასტზედ, რომ დაიწყრიტოს; როცა გაცივდეს, ლობით კონა-კონა შეკარით ძაფით და ესე შეერულები ჩაწყეთ სუფთა ქილაში, შიგ-და-შიგ ჩატანეთ თან დაფნის ფოთოლი, დაჩეჩქელი ნიორი, ქონდარი და ბაზრული პილპილი; როცა ქილა გააქსოთ, დაასხით განელებული მარილ-წყალი, ან მარტო ძმარი, ან კიდევ წყალ-ნარევი ძმარი, მოაკარით პირს და დადგით მშრალ და გრილ სარდაფუში. მწინილი რამდენათაც უფრო გრილად იქნება შენახული, იმდენად უფრო დიდხანს გასძლებს.

ქართული ბაღრიკენის შენილი.

დაფურქვენით ბაღრიჯნები და ჩაყარეთ მდუღარე წყალში; წყალი რომ ადულდეს, ბაღრიჯანი ამოიღეთ და ლასტზედ ან ფიცარზედ გაფინეთ, რომ გაცივდეს; შემდეგ დასჭრით წმინდათ ნიახური, ქონდარი, რეპანი, ქინძი, კამა და აგრეთვე და-არჩიეთ ნიორი, შემდეგ აიღეთ ბაღრიჯანი, სიგრძეზედ დასჭერით, რომ კუნძას არ მოაშოროთ, აიღეთ თითო კბილი ნიორი და ის დაჭრილი მწვანილი, გული გამოუტენეთ და ზედაც ნიახური შემოუჭირეთ; შემდეგ ჩაწყეთ რიგზედ სუფთა ქილაში და ზედ დაადეთ კვნიტი¹⁾ მარილი, რამდენიც საჭიროა და და-

1) კვნიტი—მოდიდო ნატეხაბია მარილისა, შაქრისა და მისთანებისა.

სხით ციები წყალი ანუ ძმარი, ვისაც როგორ უნდა; მოაკარით პირს და დადგით მშრალ და გრილ სარდაფში.

რეუსული ბაღრი ვენის შენილი.

აიღეთ მწვანე რეუსული ბაღრიჯანი; ორ-სამ ადგილას და-ჩეცლიტეთ ქინძის-თავით, ჩაყარეთ მდუღარე წყალში, საჩქარო-თვე ამოიღეთ და დააწყეთ ლასტზედ; შემდეგ ჩაწყეთ რიგზედ ქილაში ანუ კათხში, ჩაატანეთ შიგა-და-შიგ ქონდარი, ქინძი, დაჩეჩქვლი ნიორი და კამა. ჭურჭელი რომ გაიცის, დაადგე კვინიტი მარილი და დაასხით ზედ ციები წყალი ანუ ძმარი. მა-გრამ ვისაც დიღ-ხანს უნდა ამ მწნილის შენახვა, არ უნდა გა-თუთქოს ადულებულს წყალში.

წერავის შენილი.

დაკრიფეთ მწვანე წიწაკა, წვერები გაუჭერით დანით და ჩაყარეთ მდუღარე წყალში; ერთი რომ გადმოდუღდეს, ამოიღეთ და ჩაყარეთ პარკში; პარკს ზემოდან დაადეთ ფიცარი და დაა-ყარეთ დიღრონი ქცები, რომ კარგად გაიწუროს და სიმწარე გაუვეიდეს. როცა კარგად გაიწურება, ამოიღეთ პარკიდგან, გა-ფინეთ თაბაზზედ, დაამარილეთ და ჩაწყეთ ქილაში; ქილა კა-რგად უნდა გატენოთ; ქილა რომ გაიმსება, ზემოდამ დააყარეთ ქინძი, ქონდარი, კამა, დაასხით ციები წყალი ან ძმარი, ვისაც როგორა ჰსურს, მოაკარით პირს და დადგით გრილ სარდაფში.

ნიახურის შენილი.

ამოიღეთ ნიახური ძირიან-ფოჩიანად, კარგად დაუფხიცეთ ძირები, გარეცხეთ, ჩაყარეთ ადულებულ წყალში და მალე ამო-იღეთ, რომ არ ჩაიხარშოს; როდესაც გაციდეს, ჩადეთ ქილა-ში ან კათხაში და თავისი ნახარში წვენი ზედეე დაასხით; თუ

წევენი დაკლდეს, ციფი წყალი დაუმატეთ და ზედ მარილი და-
ადეთ; მოაკარით პირს და დადგით მშრალ და გრილ სარდაფში.

ნიერის შენიღო.

აიღეთ ნიერის თავები, გარეცხეთ კარგად, ჩაყარეთ მდუ-
ლარე წყალში და დააცალეთ, რომ ერთი პირი გაღმოღულდეს;
მერე ამოიღეთ, გააცივეთ, ჩაწყეთ ქილაში, ზემოდამ დაადეთ
კვნიტი მარილი, ქინძი, კამა, ქონდარი, დაასხით ციფი წყალი
ან ძმარი, მოაკარით პირს და დადგით მშრალ და გრილ ადგი-
ლას.

გოგოის შენიღო.

დაკრიფეთ ყუნწიანი ნორჩი გოგრები, ჩაყარეთ მდულარე
წყალში და იმავე წამს ამოიღეთ, გააცივეთ, ჩაწყეთ ქილაში
და მიუმატეთ: ქონდარი, ქინძი, კამა, დაადეთ კვნიტი მარილი,
დაასხით ძმარი და შეინახეთ მშრალ და გრილ ადგილას.

ნედლი სიმინდის შენიღო.

აიღეთ ნედლი წერილი სიმინდები, მოაშორეთ ფუქები, ჩა-
აწყეთ ქილაში, დაადეთ ზედ ქინძი, კამა, ქონდარი, მარილი,
დაასხით ძმარი და პირ-მოკრული დადგით მშრალ და გრილ
ადგილას.

